POLYVIM LLC
შპს პოლივიმი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს
შპს „პოლივიმი"-ს დირექტორის
ქამრან ფარიზადმაჰშადის
სკრინიგნსი განცხადება
მის: ქ. თბილისი სულხან ცინცაძის ქN12
ტელ: +995 593 33 33 95
ელ. ფოსტა: Info@polyvim.ge

ქალბატონო თამარ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2020 წლის 29 ოქტომბერს გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-1001) პოლიეთილენ-ტერეფტალატის (PET) ბოთლების რეციკლირების (ნარჩენების აღდგენა) და პოლიეთერის ბოჭკოს (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე.

2022 წლის 12 დეკემბერს, შპს „პოლივიმი"-მ გარემოს ეროვნულ სააგენტოს წარუდგინა საწარმოში დაგეგმილი ცვლილებების სკრინინგის ანგარიში, რაზეც 2023 წლის 18 იანვარს გარემოს ეროვნულმა სააგენტომ შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება და მოითხოვა დამატებით დასაზუსტებელი ინფორმაციის წარდგენა.

წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში დაიგეგმა ცვლილებების განხორციელება, რაც განსაზღვრულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის, მე-12 პუნქტის შესაბამისად. ნაცვლად არსებული PE, PP ან PVC ნარჩენების წინასწარი დამუშავების ხაზისა, დაგეგმილია ნარჩენების გადამამუშავებელი (არასახიფათო ნარჩენების აღდგენა) ხაზის მოწყობა, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მეორე დანართის მე-10 პუნქტის, 10.3. ქვეპუნქტის (ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა) გათვალისწინებულ საქმიანობად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ განსახილველად საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის, მე-12 პუნქტის შესაბამისად ქ. რუსთავში მშვიდობის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე (ს.კ. 02.07.01.389) პოლიეთილენ-ტერეფტალატის (PET) ბოთლების რეციკლირების და პოლიეთერის ბოჭკოს საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

**წერილს თან ერთვის:**

- სკრინინგის ანგარიში - ელექტრონული ვერსია;

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„03" 02 2023წ.
№ 790

POLYVIM LLC
შპს პოლივიმი

- განმარტებითი ბარათი - ელექტრონული ვერსია;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - ელექტრონული ვერსია;

პატივისცემით,

შპს „პოლივიმი"-ს დირექტორი

ქამრან ფარიზადმაჰშადი

ხელმოწერა ______________

2. David Gamrekeli Street, 0194 Tbilisi, GEORGIA
საქართველო, თბილისი, 0194, დავით გამრეკელის ქ. #2
+995 322 000 661
www.polyvim.ge
info@polyvim.ge
ID: 405261915